# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:** თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფონი № 15—73. მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი ,,საქართველო'' ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:** განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 15 მ. მე-4 გვერდზე—12 მ. ს. მგლოვიარე განცხადებანი 30 სტრიქონი—400 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:** გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მან.

ფასი 10 მან.

წელიწადი მეექვსე. | კვირა, ღვინობისთვის 17. 1920 | № 124.


## ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი

მოთავსებულია კვლავ ძველ ბინაზე: დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.

მდივნის ნახვა შეიძლება დილის 9—1 საათამდე,

---

ღრმად მწუხარეებში მყოფნი ნ[illegible] გლახუნის ძე და მარიამ ივანეს ასული სიხარულიძენი და შვილები: ვოლოდია, მომა, თოლი[illegible], აუწყებენ ნაცნობთ ნათესავთ პირველი ორის საყვარელი შვილისა და დანარჩენთა ძვირფასი ძმის

**ავთანდილის**

ტრაღიკულად დაღუპვას. პანაშვიდი ყოველდღე დილის 10 საათსა და საღამოს 6 საათზე. (დიდი მთავრ. ქ. 68. ცხედრის გამოსვენება მოხდება კვირას 17 ღვინობისთვეს, დიდუბის ეკლესიაში. დღის 1 საათზედ. დასაფლავება მოხდება იქვე.

---

ნესტორი გლახუნის ძე და ოლღა ეროვნოვის ასული სიხარულიძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ ნათესავთ საყვარელი ძმისწულის

**ავთანდილის**

უდროვოდ დაკარგვას. პანაშვიდი ყოველ დღე დილის 10 ს. და საღამოს 6-ს (დიდი მთავრ. ქ. 68). ცხედრის გამოსვენება მოხდება კვირას 17 ღვინობისთვეს, დღის 1 საათზედ. დაკრძალვა მოხდება იქვე.

---

ივანე ბოსიას ძე და მარიამ თედოროს ასული კორხილავა შვილებითურთ გიორგი ივანის ძითა და რძალით დარია ივანეს ასულით, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-ნათესავთა პირველთა შვილისშვილისა და დანარჩენთა ძმისწულის

**ავთანდილის**

ტრაღიკულ დაღუპვას. პანაშვიდი ყოველ დღე დილის 10 საათსა და საღამოს 6 საათზე. (დიდი მთავრის ქ. 68) ცხედრის გამოსვენება მოხდება კვირას, 17 ღვინობისთვეს დღის 1 საათზედ. დასაფლავება მოხდება იქვე.

---

დიდის მწუხარებით თავზარდაცემული ნ. სიხარულიძის საქმეთა მმართველი შ. შ. ციპინი ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს, ოქტომბრის 13-ს საბედისწერო სიკვდილით დაიღუპა ნ. სიხარულიძის ძვირფასი და საყვარელი შვილი

**ავთანდილი**

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. (დიდი მთავრის ქ. № 68.) ცხედრის გამოსვენება მოხდება კვირას, 17 ღვინობისთვეს, დღის 1 საათზედ. დასაფლავება მოხდება იქვე.

---

სასტუმრო „ნოე“-ს და ნ. გ. სიხარულიძის მამულის მოსამსახურენი. ღრმა მწუხარებით აუწყებენ ყველა ნათესავთა და ნაცნობთ ნ. სიხარულიძის საყვარელ შვილის

**ავთანდილის**

ტრაღიკულ დაღუპვას. პანაშვიდი ყოველ დღე დილის 10 საათსა და საღამოს 6 საათზე. ცხედრის გამოსვენება მოხდება კვირას, 17 ღვინობისთვეს, დღის 1 საათზედ. (დიდი მთავრის ქ. 68.) დასაფლავება მოხდება იქვე.

---

სასტუმრო „ნოე“-სთან არსებულ რესტორანის ცენტრალური ორკესტრი გულითადი მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა და მეგობართ, რომ საბედისწერო სიკვდილით დაიღუპა ნ. სიხარულიძის შვილი საყვარელი

**ავთანდილი**

პანაშვიდი ყოველ დღე დილის 10 საათ. და საღამოს 6 საათზედ. (ცხედრის გამოსვენება მოხდება კვირას, 17 ღვინობისთვეს (დიდი მთავრის ქ. 68). დღის 1 საათზედ. დასაფლავება მოხდება იქვე.

---

ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება აცხადებს, რომ კვირას, 17 ოქტომბერს, 12 საათზედ ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის პანაშვიდი საზოგადოების საპატიო წევრის, საზოგადო მოღვაწის

**ილია წინამძღვრიშვილის**

სულის მოსახსენებლად. 1—3195—1

---

## გაიხსნა რესტორანი ინტერნაციონალი

სასტუმრო ,,ინტერნაციონალთან'' (თავისუფლების მოედანი)

**პირველი ხარისხოვანი სამზარეულო**

5—1 3182

---

კომიტეტი, არჩეული ილია წინამძღვრიშვილის ხსოვნის უკვდავ საყოფელად, აცხადებს, რომ კვირას, 17 ოქტომბერს, 12 საათზედ, ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის პანაშვიდი საზოგადო მოღვაწის

**ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილის**

სულის მოსახსენებლად. 1—3194—1

---

## სახელმწიფო დრამის თეატრი.

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ., № 21, ტელ. 8—07).

### სეზონი 1920—1921 წლისა

კვირას, ღვინობისთვის 17-ს

## ოიდიპოს მეფე

ტრაღედია სოფოკლესი, თარგმანი კონსტან ანდრონის.

შემსრულებელნი: სუზანა ბეჟანიშვილი, ბაბუცა გამრეკელი, ნინო გამრეკელი-თორელი, მიხეილ გელოვანი, ნინო დავითაშვილი, აკაკი ვასაძე, ალექსანდრე იმედაშვილი, პლატონ კორიშელი, არეთა ლოლუა, მიხეილ ლორთქიფანიძე, ანდრია მურუსიძე, მიხეილ სარაული, პავლე ფრანგიშვილი, თამარ ქავთარაძე, გოგია ფრონისპირელი, ელენე ციმაკურიძე, ანნა ჩხეიძე, თამარ ჭავჭავაძე, ვერე ჯიქია.

რეჟისორი მიხეილ ქორელი.

**დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.**

მოქმედების დროს დარბაზში შესვლა აღკრძალულია.

**ანონსი:** სამშაბათს, ღვინობისთვის 19-ს ,,ოიდიპოს მეფე“
ხუთშაბათს ღვინობისთვის 21-ს ,,სიცრუე“

ბილეთები იყიდება დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათ. და საღამოს 6 საათიდან 10 საათამდის,

79. 1.

---

**სახელმწ. თეატრი.**

## ოპერა

17 ოქტომბერს

**ფაუსტი და ვალპურგიის ღამე**

მონაწ. სპრიშევსკაია, შელუდკოვსკაია, ზალიპსკი, თარხან-მოურავი, საბინინი და სხვა.

18 ოქტომბერს

**მე-2 ბალეტის საღამო**

**მ. მორდკინისა**

19 ოქტომბერს

**გოფმანის ზღაპრები**

20 ოქტომბერს

**მარგ. მაძიებელნი**

(Искатели жемч.)

21 ოქტომბერს

**მანონი**

დასაწყისი სრული 7 ნახ. საათზე საღ. წარმოდგენის დროს შესვლა საყურებელ დარბაზში აკრძალულია

ოპერის დირექტორი: ს. ი. ევლახიშვილი.

---

## ინგლისური მაღაზია დამზადებული ტანისამოსით

კაცის კოსტიუმი 10,000 მანეთიდან.
კაცის პალტო 14,000 მანეთიდან.
ქალის პალტო 12,000 მანეთიდან.

1—3196—1

---

## სახალხო სახლი

კვირას 17 ოქტომბერს,

პოეტ

**ნოე ჩხიკვაძის**

გარდაცვალების ნახევარ წლის თავზე საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო მგოსნის ობლების სასარგებლოდ ჰმართავს საღამოს.

1.

**ივ. გომართელი და გრ. რობაქიძე**

წარმოსთქვამენ სიტყვას ნ. ჩხიკვაძის შემოქმედებაზე.

2.

**ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწილეს**

2 მოქ. კომედია. მონაწ. მ. ქართველიშვილი, ს. ანკარა, ბ ნი გოცირიძე, მეტრეველი, ა. თავდგირიძე და მეგრელიშვილი.

3.

**კონცერტი და დეკლამაცია**

ქ-ნი ლ. პოლივადა და ბ-ნნი ვ. ლორთქიფანიძე და ზინონი მეასრულებენ ქართულ რომანსებს ი. ზარდალიშვილი, ვ. რუხაძე და ობოლი მუშა წაიკითხავენ ნ. ჩხიკვაძის ლექსებს.

4.

თაგუნა წაიკითხავს იუმორისტულ მოთხრობას.

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

---

ახალი თეატრი

## მახლას

პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი № 105 ყოფილი თეატრი „მინიატური“

დღეს, კვირას, ოქტომბრის 17-ს

## სეზონის დასაწყისი

წარმოდგენილი იქნება შირვანზადეს ცნობილი პიესა

**„ნამუსი“**

5 მოქმედებათ.

საკუთარი ორკესტრი ჟორჟიკას ხელმძღვანელობით.

5 პროც. წმინდა შემოსავლისა გადაიდება სომხეთის ფრონტის სასარგებლოთ.

დასაწყისი 8 საათზე

დირექცია: გ. ფირემიანი.
გამგე: ა. მ. ათაბეგოვი.

ხვალ 18 ოქტ. ქართული სეზონის დასაწყისი: ,,ვითომ არშინ-მალ-ალან''

---

Завтра начнется на Сергіевской № 7 продажа Марсельскаго головного

## САХАРА-РАФИНАДА

Завода „Раффін. Саинс зіоніс“ по 270 руб. за фунтъ, продажа будетъ производится только нѣсколько дней. Партія состоитъ исключительно изъ мелкихъ крѣпкихъ головокъ

3198. 1—1.

---



## ქიმერიონი

ყოველ დღე

გამოვლენ პეტროგრადის, მოსკოვისა და ადგილობრივი არტისტების საუკეთესო ძალები. ყოველ სამ დღეში იცვლება პროგრამა. ორკესტრი **სტუპელის** ხელმძღვანელობით. სამზარეულოს განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული. ბუფეტში მოიპოება საზღვარგარეთისა და ადგილობრივი სასმელები. სადილები 1 საათ., საღამოს 8 საათამდე.

დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

ანონსი: კვირას, ღვინობისთვის 17-ს,

**,,ნაციონალური პარტიი“-ს დიდი საღამო.**

მონაწილეობენ თბილისის საუკეთესო არტისტები. მაგიდებზე წინასწარი ჩაწერა მიიღება.

3200. 1—1.

# დღეს.

რუსეთსა და ფინეთს შორის ზავს ღვინობისთვის 14 ს ხელი მოაწერეს.

„ტანის ცნობით ვრანგელი რუსეთის რესპუბლიკის დროებითი პრეზიდენტად პ. ნ. მილიუკოვს ნიშნავს.

ბოლშევიკური ცნობით, წითელ არმიელები ყველა საყურადღებო ფრონტებთან უკან იხევენ.

საფრანგეთის სამხედრო ფლოტი შავ ზღვაში შევიდა.

საგანგებო რაზმი დაატუსაღა მთიელთა მთავრობის თავმჯდომარე ფშემოხა ოცევი.

## წ ე რ ი ლ ე ბ ი.


მეთაური: მორიგი ანსინუცია.

ისევ აზერბეიჯანზე.

პრესა: „ერთობა."

„მორინგ პოსტი" და საქართველო.

ფელეტონი. გვაზავა: ერთა ლიგა.

გიჟი გოლენდი: თეატრი და მუსიკა.

ჩვენი კორესპოდენტები: ველის ციხე, ქუთაისი.



კინემატოგრაფიული ოტელიე

„კავშირი"

დღეს ეკრანზე აჩვენებენ კინემოდან

„მინიონი"

ევროპის სოც. დემოკრატიის ბელადების ჩამოსვლა საქართველოში და მოგზაურობა

პირველი ნაწილი

თბილისი საქართველოს ყველა მშვენიერი კუთხეები ქართველი დემო-

კრატიის უდიდესი საზეიმო დღეები.

დღეს ყველამ უნდა ნახოს ის, რაზედაც მთელი ევროპა ლაპარაკობს. ეს სურათი საინტერესოა არა მარტო ქართველებისათვის, არამედ ევროპიელთათვისაც რომელშიდაც სავსებით ასხმულია საქართველოს ლამაზი ბუნება; ეცადეთ ნახოთ ყაზბეგი, რომელიც საქართველოს საზღვრავს ბოლშევიკური რუსეთიდან.

2—1 3197


## მორიგი ინსინუაცია.

ქვემოთ ვბეჭდავთ ყირიმის გაზეთში გადმობეჭდილ წერილს ლონდონის ,,მორნინგ პოსტიდან". რომელიც მთლიანი პასკვილია საქართველოს წინააღმდეგ.

ჩვენ, რასაკვირველია დიდი ნდობით არ უყურებთ ყირიმის გაზეთები ცნობებს, მაგრამ ეს უკვე პირველი შემთხვევა არ არის, რომ ხსენებული ლონდონის გაზეთი ასე უდიერათ იხსენიებს საქართველოს და მის წინააღმდეგ ილაშქრებს—ეს გარემოება კი გვაიძულებს დავიჯეროთ რუსული გაზეთის ცნობა და სათანადოთ დავაფასოთ ,,მორნინგ პოსტის" საქციელი.

როდესაც ევროპის სახელმწიფოებმა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობა ,,დე-ფაქტო" იცვნეს, ,,მორნინგ პოსტმა" შეუწყნარებელ ინსინუაციით სავსე წერილში, გაილაშქრა საქართველოს წინააღმდეგ და იმავე ინსინუაციებით, როგორც ეხლა, ამტკიცებდა რომ საქართველოს არ ჰქონია სახელმწიფოებრივი ტრადიციები და ჩვენი რესპუბლიკა გერმანიის ინტრიგების ნაყოფია და პირდაპირ მიმართულია რუსეთის და ანტანტის წინააღმდეგო.

რა ამხედრებს ,,მორნინგ პოსტს"?

ხსენებული გაზეთი წინეთ გენ. დენიკინის და ეხლა ვრანგელის დამცველათ ითვლება ინგლისში და მის გარშემო თავს იყრიან ყველა რუსის მოხეტიალე ემიგრანტები, რომელნიც ვერ შერიგებიან იმ გარემოებას, რომ როდესაც მათი სამშობლო რუსეთი, დანგრეული და გავერანებული სამოქალაქო ომის ასპარეზათ არის გადაქცეული, პატარა საქართველო, მათი გუშინდელი მონა, და მივარდნილი პროვინცია, დღეს უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება და მშვიდობიან პირობებში განაგრძობს თავის სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას.

უიმედო პოლიტიკანებს და შავი ნაციონალიზმით გაჟღენთილ ადამიანებს ვერ დაუვიწყიათ ,,დიდი რუსეთის" ხავსიანი იდეები და როგორც უკანასკნელ ნაფოტს ეკოწიწებიან ,,მორნინგ პოსტს".

ასეთი გამოსვლები ჩვენ ვერ აგვალელვებენ! ,,მორნინგ პოსტიან" ერთად ინგლისელები უფრო გავლენიან გაზეთებსაც ვიცნობ, რომელთა არც მოყიდვა არის საჭირო მისთვის, რომ დარწმუნდნენ ჩვენი ისტორიის ნათელ წარსულში, ჩვენი სახელმწიფოებრივი ტრადიციების სიძლიერება და თანამედროვე საქართველოს საიმედო აწმყოში.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ,,მორნინგ პოსტი" ვერავის დაარწმუნებს და მისი მტკიცება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება ,,ინგლისი თავისი ბეჭედით დაადასტურებს ამიერ-კავკასიის მოკავშირეების საწინააღმდეგო ვერაგულის მხარეების განხორციელებას". გულს მოუფხანს მხოლოდ გენ. ვრანგელის შტაბს და მის ინგლისურ აგენტებს.

ინგლისის პოლიტიკის ოფიციალურ წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ გასცნობოდათ საქართველოს ნამდვილ მისწრაფებათ და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ,,მორნინგ პოსტის" მოყიდული წერილები მათზე გავლენას ვერ მოახდენენ.

## ისევ აზერბაიჯანზე.

აზერბაიჯანთან ზავის შეკვრამ საქართველოს არაფერი მისცა. თუმცა მმართველი წრეები დიდი ,,საყვირებით" აუწყებდენ გულუბრყვილო საზოგადოებას, რომ უაზრო სისხლის ღვრას ბოლო ელება და ორივე ქვეყნის დემოკრატია მეგობრულად ხელს უწვდის ერთი მეორეს აზირბაიჯანისა და საქართველოს უკეთესად მოწყობისათვის, მაგრამ რეალურმა სინამდვილემ უმოწყალოდ გაჰფანტა მენშევიკების ილუზიები და გაშიშვლებული ფაქტი მიუგდო გაოცებულ ქართველ დემოკრატიას...

მთელი სამი თვის მანძილზე აზერბაიჯანის ,,კომუნისტებს" ,,ცხვირით დაჰყავდათ" მენშევიკების დიპლომატები, რომელნიც დაჯერებულნი იყვნენ, რომ კონტრანგენტი ხელს მოაწერს თავის სიკვდილზე!

ეხლა გამოირკვა, რომ აზერბაიჯანი სრულებითაც არა ჰფიქრობს ,,მენშევიკების მადის" დაკმაყოფილებას:

გაზეთებმა გადმოგვცეს ბაქოს ,,მუშათა, ასკერთა და მატროსთა დეპუტატების კრებაზე" გარეშე საქმეთა კომისარის მირზა ჰუსეინოვის მოხსენების მოკლე შინაარსი შესახებ საქართველოსა და სომხეთისა. თბილისში ტკბილი ენით მოუბარი მოსკოვის ლაქია, თავისიანებთან გულახდილად საუბრობს. ჩიჩერინის საჭურისი ამასხარავებს საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულებას და ამხანაგებს ამშვიდებს, რომ საქართველოს მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის აზერბაიჯანი არ ეცდება.

12 ივლისის ხელშეკრულებამ ორი რამ გამოააშკარავა: ბოლშევიკების ცინიზმი და მენშევიკების კრეტინიზმი! ერთი თვალ და თვალ ატყუებს მეორეს, მასხარად იგდებს, ზოგჯერ ემუქრება... მეორე ყველა შემთხვევაში ტყუვდება და გზას მაშინ ჰხედავს, როდესაც გადაბრუნებული ,,ურემი" გადალეწილი გდია...

ჩვენ აღვნიშნავთ „დიპლომატ" ჰუსეინოვის ერთს განცხადებას მხოლოდ. პანისლამისტი კომუნიზმის სამოსელში გამოხვეული ეხება ზაქათლის ოლქს საკითხს და აცხადებს, რომ თუმცა ზაქათლის ოლქის ბედი ჯერ არ გარდაწყვეტილა, მაგრამ ის უნდა დარჩეს აზერბაიჯანის საზღვრებში, რადგანაც ოლქი ეთნოგრაფიულად სრულიადაც არ წარმოადგენს საქართველოს საკუთრებასო. აქედან ცხადია, რომ აზერბაიჯანი არც თავის ხელშეკრულებას სცნობს, არც იმას, რომელიც საბჭოთა რუსეთთან „შეჰკრა" გიშა ურატაძემ.

რასაკვირველია, ჰუსეინოვს ჩვენ ვერ მოვთხოვთ ეთნოგრაფიულ ცოდნას, მხოლოდ ის კი უნდა იცოდეს პანკრატოვების ლაქიამ, რომ რჯული და ერი სხვა და სხვა ცნებაა. ზაქათლის ოლქის მცხოვრებთა უმეტესობა თუმცა მაჰმადის ახსარებისაა, მაგრამ შავთნოგრაფიულად ოლქის მოსახლეობა ჯგუფებად განიყოფება: დიდი უმრავლესობა მცხოვრებლებისა ლეკებია, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო აზერბაიჯანელ ყიზილბაშებთან და ძლიერაც სძულთ ეს უკანასკნელნი, დარჩენილები ინგილოები და მულალ-აზერბაიჯანელები თაახლოვებით თანაბარი რიცხვით არიან წარმოდგენილნი... მაგრამ სად ჰუსეინოვი და სად ეთნოგრაფია!? მაღაშლიანი პანისლამისტი რას დაგიდევს ეთნოგრაფიას, როდესაც მსუქან ლუკმაზეა ლაპარაკი!!

ასე ცინიკურად განმარტავენ ბაქოს „ხაზეინები" აქტებში მენშევიკების გაურიზავებას..

ჩვენები-კი თავის იმედს მოსკოვის „მეფეზე" ამყარებენ.

დიდი ხანი-კი მოუხდება ლოდინი...

## პ რ ე ს ა.

,,ერთობა"-მ (იხ № 234) ,,ტყუილებში" დაგვიჭი. გათხუპნულ სუბიექტების ვექილმა იმით გაიხარა, რომ ჩვენს წერილში ,,განის" სიტყვები ,,ინექტენსო"-დ არ იყო მოყვანილი, მაგრამ ჰქვა კი არ გაუნძრევია იმისათვის, რომ გაეგო მათი ერთაზრობა ორივე შემთხვევაში. მომარაგების სამინისტროს შესახებ გამოქვეყნებულმა მასალებმა ჩვენ გვაიძულეს სამინისტროს წინააღმდეგ გამოსვლა და ჩვენ ერთ-ერთ წერილში სამინისტროს ,,ხელმძღვანელის" განთავისუფლებას მოვითხოვდით. სწორედ ამ წერილზე ,,ერთობის" მატრაკვეცა თანამშრომელი ,,განი" გვიპასუხებდა, რომ ის და მისი ამხანაგები თითსაც არ გაანძრევენ ,,საქართველოს"... სასიამოვნოდ. ჩვენი ,,სიამოვნება" რომ უნდა გამოეხატულიყო, ,,მონ-ჯანო", მაგრამ ეს თქვენცა და ,,ერთობა"-ამაც კარგად უწყით და თუ მაინც ჰხარჯავთ მელანს და ყველაფერის მომთმენ ქაღალდს თქვენი ,,სიბრძნით" ავსებთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გესენი გჭირთ ,,უკანასკნელი სიტყვის" დატოვებისა. ბრალდებული რაგინდ დამნაშავედ ჰგრძობდეს თავს, ,,უკანასკნელ სიტყვას" მაინც ამბობს...

## ,,მორნინგ პოსტი" და საქართველო.

გენ. ვრანგელის ოფიციოზი, ,,Военный Голосъ"., რომელიც ყირიმში გამოდის, ოქტომბრის 8-ის №-ში, შემდეგ წერილს ჰბეჭდავს ლონდონიდან: ,,საქართველოს საგარეო ხაქმეთა მინისტრის გეგეჭკორის ინგლისში ჩამოსვლის გამო, რომელსაც მიზნათ აქვს, რომ ინგლისმა იურიდიულათ იცნოს საქართველოს დამოუკიდებლობა, შემდეგ მეთაურს უძღვნის საქართველოს საკითხს:

,,არის მრავალი საბუთები იმისათვის, რომ საქართველოს მისი დეფაქტოთ (?) ცნობის მოთხოვნა, დაკმაყოფილებული არ იქნას. ის საფუძვლები, რომელიც საქართველოს მთავრობას მოყავს არ არის არსებითი და ზოგიერთ შემთხვევებში განზრახ ყალბია: მაგალითად ისტორიული მითითება საქართველოს დამოუკიდებლობაზე წარსულში. რუსეთთან ,,ნებაყოფილობითი უნიამდი" საქართველო არას დროს არ ყოფილა სახელმწიფო, როგორც ეს წარმოდგენილი გვაქვს. 180.. წ. ის წარმოადგენდა მუდამ ერთმანეთთან ომში მყოფ ტომების რიგებს, რომელთაგან მრავალი, საქართველოს ... ლური მეფის ირაკლის ,,ლამაზი ქესტის" შემდეგ, რომელმაც ალექსანდრე I-ს სთხოვა მიეღო საქართველო თავის ქვეშევრდომათ, ერბაშათ არ დამორჩილდა რუსეთის მთავრობას. თანამედროვე საქართველოს ისტორიულათ განხილვის შემდეგ უნდა გვახსოვდეს, რომ ის ნაყოფია გერმანიის დიპლომატიის მუშაობის. გეგეჭკორმა გამოაცხადა მისი დამოუკიდებლობა 1918 წელს გერმანიის სარდლობის კავკასიაში პირდაპირი ბრძანებით, ეს ფაქტი იმდენათ თვალსაჩინო იყო, რომ გეგეჭკორი იძულებული გახდა გამქრალიყო პოლიტიკურ ჰორიზონტიდან, როცა გერმანიის გავლენა კავკასიაში შესცვალა მოკავშირეთა გავლენამ.

ახლა ქართველებს, რომლებმაც დაიკავეს ბათომის ნავთსადგური, რომელიც ნაციათა ლიგის კონტროლის ქვეშ უნდა ყოფილიყო, უჭირავთ ამიერ-კავკასიის გასაღები და სომხეთი მოჭრილია შავ ზღვას. გეგეჭკორის მისიას მიზნათ აქვს მოიშოროს თბილისზე და ბათომზე რუ...

## ე რ თ ა ლ ი გ ა.

1.

1. მსოფლიო ომი.
2. სიდიადე შეტაკებისა.
3. გამარჯვება დემოკრატიზმის.
4. აღტყინება მსოფლიო შეგნებისა.
5. საზავო კონფერენცია.

ისტორიას არ ახსოვს ისეთი საშინელი და დიადი ომი, როგორიც იყო უკანასკნელი მსოფლიო შეტაკება.

არვიცი, რა ჰხდებოდა სხვაგან, მაგრამ პარიჟი, ლამაზი, დიადი და მხიარული პარიჟი, გამოცხადა თუ არა მობილიზაცია, უეცრად დაცარიელდა, განაბა სული, და მოცული შიშით და სიბნელით ელოდა თავის ბედს. სიზმარივით გაიარა წინა დღის დუღილმა და აღშფოთებამ: შეწყდა ჯარის დენა, ავტომობილების სრბოლა, ქუჩის მანიფესტაციები, ზოგი მაღაზიების მტვრევა... შეშინებულ გონებაში ჰფეთქავს კიდევ უკანასკნელი შთაბეჭდილება: მეგაზეთეს ყვირილი—,,მკვლელობა ჟორესისა!" ან ზოგიერთი ნაწყვეტები დეშანელის პატრიოტული სიტყვისა პარლამენტში—,,რას ვამბობ?! განა დღეს შეიძლება იყოს პარტიული განსხვავება, როცა სამშობლო განსაცდელშიაო?!"—შეწყდა ყველაფერი, თითქო შეწყდა ძარღვის ცემაც. მხოლო ეიფელის კოშკიდან პროჟექტორების უშველებელი ნათლის სვეტები მიმოდიან ბნელს ცაში და მის სიღრმეში ეძებენ მტრის ჰაეროპლანებს... ქვეყანას უვლის შიშის ჟრუანტელი... რა მოხდება?!

ჩვენ ვიცით ეხლა, რაც მოხდა: დაინგრა ოთხი დიდი იმპერია—რუსეთი, გერმანია, ავსტრო-უნგრეთი და ოსმალეთი და მათ ნანგრევში ჩაიმარხა ის პრინციპებიც, რომლებზედაც იყვნენ აგებული და რომლებსაც იცავდნენ მთელი თავის ძლიერებით ეს იმპერიები. მონარქიზმი და იმპერიალიზმი, ე. ი. პრინციპი პოლიტიკური მონობისა სახელმწიფოს შიგან და პრინციპი მსოფლიო ბატონობისა საერთაშორისო განწყობილებაში. პირველი იყო უარისყოფა დემოკრატიზმის სახელმწიფოს შინაურ წყობილებაში, მეორე—უარისყოფა სხვა ერების თავისუფლებისა. მართალია, ყველა ეს იმპერიები არ შეიძლება ერთნაირად იქმნენ დაფასებული, გერმანია და ავსტროუნგრეთი უფრო განათლებული იყვნენ, რუსეთი და ოსმალეთი—წარმომადგენი უფრო ბნელი წარსულისა, მაგრამ საზოგადოდ ორთხივე ემსახურებოდა ერთ და იმავე პოლიტიკურ იდეოლოგიას. ,,მშრალი თოფწამალი და რკინის ხელთათმანები" იყო მუდმივი ოცნება გერმანიის მართველი წრეებისა; პრუსიის მილიტარიზმი უფრო აღვივებდა ამ ოცნებას და ჰქმნიდა ხალხში სულიერ მიდრეკილებას მსოფლიო ჰეგემონიის დასამყარებლად. მართალია, ხალხსა ჰქონდა საარჩევნო უფლება, მაგრამ რეიხსტაგი თუ ლანდტაგი, როგორც ეროვნული წარმომადგენლობა, სრულებით უძლური იყო აღმასრულებელ ხელისუფლების წინაშე, მინისტრები არ იყვნენ პასუხისმგებელი და მთელი საერთაშორისო პოლიტიკა ჰრჩებოდა ხალხის კონტროლის გარეშე. რაც შეეხება დანარჩენ იმპერიებს, სიტყვას არ გავაძლებ: ტანჯვა და გმინვა მრავალ დამონებულ ერებისა ამ იმპერიების ფარგლებში უეჭველი საბუთია იმისი, რომ ამ ქვეყნებში არ იყო ჩანასახიც კი არც დემოკრატიზმის, არც ეროვნული თავისუფლებისა. საშინელია ამ მხრივ ოსმალეთის ისტორია, არა ნაკლებ საშინელია რუსეთიც. ამიტომ დანგრევა ამ იმპერიისა უნდა ჩაითვალოს დიდი ბედნიერებად კაცობრიობის განთავისუფლების ისტორიულ პროცესში.

ისტორიას აქვს თავის უტყუარი და აუცილებელი ლოღიკა. რუსეთი მოკავშირე იყო ანტანტის სახელმწიფოებისა—საფრანგეთის, ინგლისის და სხვებისა. მაგრამ ლოღიკა ისტორიისა ყურს არ უგდებს სხვადასხვა დიპლომატიურ ჩმახავს და ერთის მობერვით ანგრევს დიდის შრომით და მეცადინეობით ამართულს ხუხულას, მართლაც, ყოველი შრომა და შემოქმედება ადამიანის თუ ერისა არის მხოლოდ ხუხულა, როცა იგი ეწინააღმდეგება ამ ლოღიკას, ამ მსოფლიო ევოლიუციის კანონს. ეხლა მაინც ყველასთვის აშკარა გახდა, რომ უკანასკნელი მსოფლიო ომი იყო შეტაკება ორი მოწინააღმდეგე იდეისა—მონარქიზმის და დემოკრატიზმის ან მონობისა და თავისუფლების შორის. გამარჯვება, რა საკვირველია, დარჩა თავისუფლებას. ამ ნაირად ხელოვნურად შესული რუსეთი ისტორიის უწყალო ხელმა გამოგლიჯა იმ კავშირს, სადაც მას ადგილი არ უნდა ჰქონოდა, და გადააგდო დამარცხებულ სახელმწიფოთა ბანაკში. რუსეთი დამარცხდა იმიტომ კი არა, რომ სუსტი იყო, იარაღი არ ჰქონდა, ფული არ ჰქონდა და სხვა. არა, ის დამარცხდა იმიტომ, რომ მთელი მისი შინაარსი, მისი რეჟიმი, მისი იდეალოგია იყო უარისყოფა თავისუფლების და დემოკრატიზმის, უარისყოფა ისეთი იდეებისა, რომელთა განხორციელება იდგა და ჰდგას კაცობრიობის წინაშე, როგორც მორიგი საკითხი ისტორიულ პროცესსისა. ამიტომ დაიშალა რუსეთი, ოსმალეთი და ავსტრო-უნგრეთი, დაირღვა შემბოჭავი ჯაჭვი დამონებული ერებისა, და თავისუფლების შემოქმედმა სუნთქვამ შეჰქმნა ახალი ეროვნული სასალმწიფოები. დაირღვა გერმანიაც, როგორც ავტოკრატიული რეჟიმი. ყველგან იმარჯვებს დემოკრატიული წესი დაწყობილება.

მაგრამ ამით არ ამოიწურება შედეგი ომისა. ომი არ იყო ადგილობრივი, მხოლოდ კონტინენტალური, როგორც მაგალითად ნაპოლეონის დროს. ნაპოლეონს არადროს არა ჰყოლია ორას ათასზე მეტი შეიარაღებული ჯარი და მაშინდელ ჯარების შემადგენლობა ჩამომავლობით არ გადაცილებულა ევროპის საზღვრებს. სულ სხვა სურათსა ვხედავთ ეხლა. ეხლა თვითეულ მხრიდან იბრძოდა არა ნაკლებ ხუთი-ექვსი მილიონისა, და იმოდენივე ლაშქარი ჰმუშაობდა თვითეული ჯარის ზურგის უკან მოსავლელად და სამხედრო მასალის დასამზადებლად. მერე რა ჯურის ხალხი არ იღებდა მონაწილეობას ამ ომში? მარტო საქართველომ შესწირა ასი ათასამდე მაინც თავის საუკეთესო შვილები ამ ომს, და რამდენია კიდევ უსახელო და უცნობი ერები, რომლებმაც პირდაპირ ანირიბად გაიღეს თავის სისხლი, ქონება თუ ღონე? იბრძოდენ არა მარტო ევროპი წოდებული კულტურული ერები, იბრძოდნენ ყვითელი და შავ-კანიანებიც.

მათი სისხლი გაერია საერთო სისხლის ღვრას, დანთხეულს ბრძოლის ველზე... გაფართოვდა მოთხოვნილებაც. თავისუფლების სუნთქვა გადაცდა ევროპის საზღვრებს, და დაჰბერა მთელს მსოფლიოს. ან ვის შეუძლიან ეხლა სთქვას: ეს თუ ის ერი ჩამორჩენილია ან სხვა ფერისა და კანისაა,—და ამიტომ ჰპაროს იმას მისი სამოქალაქო თუ პოლიტიკური უფლებები? ყველა იბრძოდა, ყველამ დაჰღვარა სისხლი და ყველას აქვს უფლება მოითხოვოს თავის წილი ამ საერთო ზეიმში და მსოფლიო განახლებაში.

აქედან არ უნდა იყოს გამორიცხული არც ერთი ხალხი. რასაკვირველია, არც ისინიც, ვინც იბრძოდენ მონარქისტული თუ იმპერიალისტური წრეების მეთაურობით. საქმე ამ წრეების დამარცხებაშია, მათი მისწრაფების და იდეალიგიის დამხობაში, და რა რომ ეს მოხდა, განთავისუფლებულია ხალხიც. ერთ, გერმანიის იქნება ის თუ ავსტრო-უნგრეთის, თუ სხვა რომელიმე მოწინააღმდეგე სახელმწიფოსი, ერი, დამარცხებული ბრძოლის ველზე, ამ ბრძოლის ცეცხლიდან გამოდის თავისუფალი და განახლებული. მართალია, ამ სახელმწიფოებმა ბევრი რამ წააგეს, ზავის პირობები პოლიტიკურად და ეკონომიურად არ არის მათთვის ხელსაყრელი, მაგრამ ეს მსხვერპლი საჭირო გახდა, საჭირო ყოფილა... უამისოდ არ იყო ხსნა. ამაზე კიდევ გვექნება ლაპარაკი.

ასეთია შემომქმედი იდეა თავისუფლების. მისი მოთხოვნილება უნდა მივიდეს ლოგიკურ დასკვნამდე. თვით გამარჯვებული სახელმწიფოები იძულებული იყვნენ, ამ იდეის ზედ-გავლენით, სათანადო შესწორება შეეტანათ თავის სურვილებში და მოთხოვნილობებში. ბევრი რამ გამოიცვალა ინგლისშიიდაც, საფრანგეთშიდაც. ბოლშევიკებმა გამოაქვეყნეს საიდუმლო ხელშეკრულებები, რომლებიც ჰქონდა დადებული ცარიზმისტულ რუსეთს საფრანგეთთან და ინგლისთან. იქიდან სჩანს, რომ არც ეს სახელმწიფოები ყოფილან უანგარო და უმწიკვლო თავის პოლიტიკურ და იმპერიალისტურ მისწრაფებაში. გამოირკვა, რომ საფრანგეთსაც და ინგლისსაც ისე, როგორც რუსეთს, ჰქონიათ ძალიან დიდი მადა. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი ქვეყნები ევროპისა თუ აზისა არხეინად დაუნაწილებიათ თავიანთ შორის ჯერ კიდევ ომის დაწყებაშივე. ცნობილია აგრეთვე შეთანხმება იტალიის სხვა სახელმწიფოებთან შესახებ თავის ტერიტორიის გაფართოვებისა... ეაშ მარტო რუსეთს ან გერმანიას კი არ მიუძღვის იმპერიალისტური ცოდვა. მაგრამ მსოფლიო ომი და მისგან გამოწვეული მსოფლიო ალი თავისუფლების და დემოკრატიზმისა სწორედ მით არის შესანიშნავი, რომ მან ერთის მობერვით გააბნია ყველა ეს ეგოისტური და იმპერიალისტური ზედნაშენი, შეჰქმნა ისეთი ნიადაგი, ისეთი სულიერი განწყობილება და იდეური მისწრაფება, რომ მოუხერხებელი გახდა თვით ლაპარაკიც კი ისეთ მადაზედა სურვილებზე, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდნენ ამ მსოფლიო მიმართულებას. ინგლისმა და საფრანგეთმაც მიჰმალეს ან მიჩქმალეს თავის სურვილები და იძულებული გახდნენ მიეღოთ ის პროგრამმა, რომელიც, თავის უმთავრეს ხაზებში მაინც, მისაღები იყო ყველასათვის. ეს პროგრამმა პირველად ჩამოაყალიბა ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ვუდრო ვილსონმა, ეგრედ წოდებული ,,14 მუხლებში".

ეს ,,მუხლები" შესანიშნავია; თუმცა თავის შინაარსით ის არ წარმოადგენს არაფერს ახალს, მაგრამ სიტყვა იყო თქმული ისე მკაფიოდ, ისეთ ის... ტორიულ მომენტში და ისეთ პირის მიერ, რომ იგი სამუდამოდ დარჩება შესანიშნავი ისტორიული დოკუმენტად.

გადმოწერა ამ დოკუმენტისა საჭიროდ არ მიმაჩნია. საჭიროა მხოლოდ წარმოვიდგინოთ საზოგადო მდგომარეობა: დაინგრა ოთხი იმპერია, დაიღალა ინგლისი, მოიქანცა იტალია, სისხლისაგან დაიცალა საფრანგეთი; შეწყდა მიმოსვლა, შემცირდა სარჩო სანოვაგე, მოიშლა აღებ-მიცემობა... და ამ მსოფლიო მოქანცვის და გაჭირვების ნიადაგზე წამოიჭრა ათასნაირი საკითხები—ტერიტორიული, პოლიტიკური, ეკონომიური, ფინანსიური და სხვანი. ყველაფერი ითხოვდა გადაჭრას და მოწესრიგებას. ომი გათავდა, დაიშალა დიდი ფრონტი, მაგრამ შერყეული და აფორიაქებული კაცობრიობა ვერ დამშვიდდა, ვერ ჩადგა თავის კალაპოტში. ერთი დიდი ომის მაგივრად ატყდა მრავალი პატარ პატარა ომები, ერთი დიდი ფრონტის წილ—გაიმართა ათასი პატარა პატარა ფრონტები: ჩეხია ავსტრიას ებრძოდა, რუმინია უნგრეთს, სლოვენეთი იტალიას, საბერძნეთი ოსმალეთს, ოსმალეთი-სომხეთს, სომხეთი-თათრებს, თათრები საქართველოს, საქართველო რუსეთს, რუსეთი პოლონეთს, პოლონეთი ლიტვას... და ამავე დროს ყველა ამ ქვეყნებს ბოლშევიზმი ემუქრებოდა წარღვნით და განადგურებით.

ასეთი იყო საზოგადო სურათი, როცა შეიკრიბა პარიზის საზავო კონფერენცია.

გ. გვაზავა.

სეთის კანტროლი, რომელიც იქნო ყველამ, გარდა ახლადგამომცხვარ საქართველოს მმართველებისა.“

შემდეგ გაზეთი სწერს: თუ ის (ვრანგელი) დამარცხდა და დაკარგა ბატონობა შავ ზღვაზე, მის ადგილს დაიჭერენ ბოლშევიკები და ამ შემთხვევაში ჩვენ მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ცნობა არაფერს არ შეცვლიდა მის მდგომარეობაში: პირველ შემთხვევაში კი (ე. ი. ვრანგელის გამარჯვების დროს—) ჩვენს წინააღმდეგ ავამხედრებდით რუსეთის საზოგადოებრივ აზრს, რომელშიც ისედაც ბევრი სიმწარეა ჩვენს მიმართ და იგი არ დაყოვნებდა ამიერ კავკასიის თავის სულიერ ცენტრთან რუსეთთან აუცილებლათ დაბრუნებას. საქართველოს მოთხოვნა სასარგებლოა მხოლოდ ქართველ შოვინისტებისათვის და ჩვენი მტრებისთვის და განა საჭიროა, რომ ინგლისმა თავის ბეჭედით დაადასტუროს ამიერკავკასიაში მოკავშირეების საწინააღმდეგო ერთ-ერთ ვერაგული ზრახვების განხორციელება?“

# დეპეშები.

## გერმანული ცნობები.

გაფიცვების დასრულება.

გაზეთებზე მომუშავეთა გაფიცვა მთავრობის ჩარევის წყალობით დასრულდა. ჯამაგირი მოსამსახურეთ ნოემბრის 15 საშუალოდ 40 პროც. გაუდიდდათ. გაფიცული მუშები გაფიცულ დღეების შრომის ქირასაც მიიღებენ, დღიური ხელფასის 75 პროც. სახით. მუშაობა დღეს დაიწყება.

პლებისციტის შედეგი.

კორონტ სამხრეთ დონის პლებისციტის დროს 60 პროც. ხმა მისცა ავსტრიასთან შეერთებას. ამგვარათ ჩრდილოეთის ზონის პლებისციტი ზედმეტია.

ინგლისი და გერმანია.

გაზეთ „ლიუქსემბურგერ“ პოსტ. ცაიტუნგის ცნობით ინგლისი შეპირდა გერმანიას დახმარებას იმ შემთხვევაში თუ გერმანიაში უკიდურესების გამოსვლა მოხდება. გამოსვლის შესაძლებლობა განიარაღების გამო შემსუბუქებულია. გერმანიას უცხოელი დასახმარებლად რაიმე ამბოხების ჩაქრობა არ შეუძლია.

„ევროპა უზავოდ“.

გერმანიის პრესამ მიაქცია ყურადღება ექსპრემიერის ნიტის წერილს, რომელიც დაბეჭდილი იყო იტალიის გაზეთებში შემდეგი სათაურით: „ევროპა უზავოთ“. ნიტი აცხადებს: საშუალო ევროპაში გამარჯვებულთ ადამიანზე ლაპარაკი აღარ შეუძლიათ, ვინაიდან ისინი ხმარობენ ისეთ უხეშ საშუალებებს, რომელსაც თვითონ გმობენო.

## რუსეთის ცნობები.

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

პოლონური გაზეთები იუწყებიან, რომ ყოფილი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ვრანგელის გენერალურ შტაბში იმყოფებაო.

ინგლისური გაზეთები იუწყებიან, რომ საფრანგეთის მძლავრად შეიარაღებული პატარა ფლოტი შავ ზღვისაკენ წავიდაო.

საფრანგეთის ფლოტი შავ ზღვაში.

ინგლისური გაზეთები იუწყებიან: ინდოეთის ყველა დიდ ქალაქში არეულობა ხდება. უდიდეს ქალაქში მომბეიში მუშები გაფიცულნი არიანო.

## ს. დ. ს. მანჯ. ცნობები.

იტალიური ლიგა.

**რომი.** ღვინ. 5. იტალიის და ევროპის სხვა სახელმწიფოთა ზოგიერთ ქალაქებში ეროვნულ ინტერესების დამცველი იტალიურ ლიგის განყოფილებები დაარსდა. ლიგის მიზანია: იტალიის ინტერესების დაცვა, კომერციულ დამოკიდებულების გაადვილება იტალიასთან და დასასრულ ყველა იმ სასიცოცხლო საკითხების გამორკვევა, რომლებიც იტალიას ეხება.

**არჩევნები საბერძნეთში.**

**კონსტანტინოპოლი.** ღვინ. 5. „ჟურნალ დ. ორიენტი“ საბერძნეთის მოავალ არჩევნების შესახებ ცნობას იძლევა. ვენიზელოსმა გადაწყვიტა მიიღოს არჩევნებში აქტიური მონაწილეობა. ამიტომ მან განიზრახა საბერძნეთის ქალაქების შემოვლა. საერთოდ საბერძნეთი ცოცხლად გამოეხმაურა საარჩევნო კომპანიას. ათინაში სოციალისტების საარჩევნო მანიფესტაცია მოხდა. მანიფესტაცია წესიერად ჩატარდა.

„ბოსფორი“ იუწყება: მუშათა წრეებს განზრახული აქვთ ვენიზელოსის გადაყენება და ახალ კაბინეტის შედგენაო. ათინაში გამოიცა ბრძანება რომლისათვისაც მანიფესტაციის მოწყობის მსურველებმა ამის შესახებ პოლიციას წინა დღით უნდა განუცხადონ.

„ჟურნალ დ, ორიენტი“ იუწყება: ღვინობ. 5. ოპოზიციის აღმასრულებელმა კომიტეტმა მთავრობ.ას უკანონო მოქმედების გამო, რომელსაც იგი არჩევნებში იჩენს, ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენელებს საპროტესტო ნოტა წარუდგინესო. ამ ნოტის ასლები იტალიის და ამერიკის წარმომადგენელებს გადაეცა. „ბოსფორი“ ახასიათებს რა მომავალ არჩევნებს, სწერს რომ იგი მშვიდათ ჩატარდებაო. მთავრობა არჩევნების წესიერად ჩასატარებლად ყოველივე ზომებს ღებულობს.

ინგლისი და რუსეთი.

**ლონდონი.** ენკ. 28. გაზეთი „ვიტლი დისპეჩი“ სწერს: ჩიჩერინის მიერ ლიტვინოვის მიმართ გაგზავნილი რადიო დეპეშაში ნათქვამია: „თუ ლოიდ ჯორჯმა შესწყვიტა რუსეთთან პოლიტიკური მოლაპარაკება, მან აზიაში ინგლისის წინააღმდეგ დაწყებულ მოძრაობის პასუხის მგებლობა თავის თავზე უნდა მიიღოსო.

**ბოლშევიკური ტერორი იტალიაში.**

**გენუა.** ენკენ. 29. ქალაქის შუაგულში უცნობმა პირებმა ყუმბარა ისროლეს. ამის გამო დაატუსაღეს მრავალი პირი. სხვათა შორის დაატუსაღეს 16 რუსი, რომელთაც ყალბი პასპორტები და დიდ ძალი თანხები აღმოაჩნდათ. ბოროტმოქმედთ აღმოაჩნდათ აგრეთვე მოწმობები, რომლებიც მათ ბოლშევიკებთან კავშირის ქონას ამტკიცებს. პრესა ფიქრობს, რომ იტალიის ქალაქებში რუს ბოლშევიკებს იტალიის მოღვაწეთა მოსასპობად ტერორისტთა ჯგუფები აქვთ დაარსებული.

**ბოროტმოქმედება რუსეთში.**

**მოსკოვი.** ღვინ. 2. „იზვესტია“ იუწყება: მოსკოვის მაზრის სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა დიდი ბოროტმოქმედებანი სურსათ-სანოვაგის საქმეში. მოპარული ნივთები ურმებით მიჰქონდათ ყოველდღე რამდენიმე თვის განმავლობაში. ბანდა, რომელიც ამ ძარცვა-გლეჯას ეწეოდა, შესდგებოდა მოსამსახურეებიდან, რომელსაც მეთაურობდა დაწესებულების გამგე. მათ ეხმარებოდენ „ჩრეზვიჩაიკის“ აგენტებიც. ჩხრეკის დროს ბანდის ერთერთ მონაწილეს უპოვეს 42 გირვანქა ქაღალდის ფული. მეორეს უნახეს დღიური, სადაც აღნუსხული იყო ის, თუ რამდენი საქონელი მოიტაცეს მათ და რამდენი გაყიდეს.

**მოსავალი რუსეთში.**

„იზვესტია“ იუწყება: საბოლოოდ გამოირკვა, რომ რუსეთის ზოგიერთ გუბერნიასა და მაზრაში მოსავალი იმდენათ ცუდი მოვიდა, რომ გლეხებს საკუთარი მოსავალი არ ეყოფაო.

ლონდონი. ოქტ. 2. „ვიტლი დის პეჩი“ იუწყება: კამენევის და კრასინის შორის, ლონდონში ყოფნის დროს, უთანხმოებას ქონდა ადგილიო. საბჭოთა დელეგატებს ერთმანეთი არ უყვარდათ. კრასინი ლონდონში სცხოვრობს ფიქრობს საბოლოოდ. კრასინმა თავისი ქალიშვილები ინგლისურ შკოლებში მიაბარა.

ს. დ, პარტიის წევრთა თათბირი.

ოქტომბრის 15 თბილისის ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა მე-2 სხდომა ს.-დემოკ. წევრთა ეკონომიურ საკითხებზე მოსალაპარაკებლად ილაპარაკეს ნატროშვილმა, სალაყაიამ, ირ. რამიშვილმა, ვ. ჯუღელმა, ურატაძემ, ილ. გიორგაძემ და სხ. ორატორები მხარს უჭერდენ და ანვითარებდენ ნ. ჟორდანიას მოხსენების ძირითად თეზისებს და მოითხოვდენ წამოყენებულ ღონის.ძიებათა ცხოვრებაში დაუყოვნებლივ გატარებას. ზოგიერთმა ორატორმა შრომის ნაყოფიერების გასაძლიერებლად საჭიროთ აღიარეს სავალდებულო ბეგრის შემოღება. თათბირის თავმჯდომარემ ნ. რამიშვილმა წინადადება შემოიტანა რეზოლიუციის დასამუშავებლად არჩეულ ყოფილიყო ცალკე კომისია. ნ. რამიშვილის წინადადებით ამ კომისიაში გარდა თათბირის წევრთა შევლენ- მუშათა ორგან. სახალხო გვარდიის, პროფ. კავშირების და საერობო საქალაქო თვითმართველობის წარმომადგენლები. ეს წინადადება ერთხმად იყო მიღებული. გადაწყდა კომისიაში მუშაობა სასწრაფო წესით წარმოებდეს, კომისიის პირველი სხდომა კვირას ოქტომბრის 17 დილით 12 საათზე პარტიის ცენტრ. კომიტ. ბინაზე მოხდება. კომისიამ მუშაობის დასრულების შემდეგ ისევ უნდა მოიწვიოს საზოგადო კრება დამუშავებულ რეზოლიუციის განსახილველად.

**რუსეთის საბჭოთა მთავრობა და საფრანგეთი.**

პარიზი. „ტანი“ იუწყება: საფრანგეთის ულტიმატუმი [საპასუხოთ საბჭოთა მთავრობის მიმართ რუსეთში ფრანგ ტყვეების დაუყონებლივ განთავისუფლების შესახებ, ჩიჩერინმა განაცხადა საფრანგეთის ფლოტის ჩარევა და შავი ზღვის ნაპირებზე იერიშები წარმოადგენენ უცხოეთში ძალის აქტს და რომელიც სამართლიანობის პრინციპს ეწინააღმდეგება. მიუხედავათ ამისა, საბჭ. მთავრობა აღნიშნავს, რომ მას სურს თავიდან აცილებულ იქნეს ახალი სისხლის ღვრა და ამიტომ გადასწყვიტა დაუთმოს საფრანგეთის მოთხოვნილებას და განათავისუფლოს ყველა ფრანგი ტყვე.

**მილიუკოვი პრეზიდენტად.**

„ტანს“ „ბერლინერ—ტაგე ბლატიდან“ მოყავს შემდეგი: სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან: რომ გენ. ვრანგელს ფიქრათ აქვს რუსეთის რესპუბლიკის დროებით პრეზიდენტათ პ. ნ. მილიუკოვი დანიშნოს.

**არეულობა ესპანეთში.**

ნორვეგიიდან მოსული რადიო იუწყება: რევოლიუციონური ბრძოლა ესპანეთში მეტად გამწვავდა. მთავრობამ შეიარაღა ბურჟუაზია, მოსპო თავისუფლება სიტყვისა, კრებისა და კავშირებისა. ესპანეთში რევოლიუციამ შესაძლებელია ისევე მოულოდნელათ იფეთქოს, როგორც რუსეთშიო.

**რუსეთ-პოლონეთის ზავი.**

პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარემ დომბსკიმ სთქვა: პოლონელები მოხარულნი არიან, რომ მათი იმედები გამართლდა. ახლანდელი ზავი დამყარებულია ერთად ერთ სამართლიანობის პრინციპზე. ეს შეთანხმება არ გულისხმობს გამარჯვებული და არც დამარცხებულ მტერს. ამაშია გარანტია ზავის სიმტკიცისა. პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარემ კმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ ორივე ქვეყნის ჯარისკაცებს შეძლება ექნებათ დაუბრუნდენ თავის კერას და დაიწყება აღმშენებლობითი მუშაობა საერთო მშვიდობიანობაში, რომელიც ასე მოსწყურდა მთელ ევროპას დელეგაციების თავმჯდომარეებმა ერთმანეთს მადლობა გადაუხადეს ერთად წარმოებულ მუშაობისათვის.

## რ. ს. ფ. ს. რ. მისიის ცნობები.

**პოლონელები კმაყოფილნი არიან.**

ლიონი. ღვინობისთვის 15. (რადიო) პოლონელებმა კმაყოფილება განაცხადეს რიგის დროებითი ზავზე და გამოსთქვეს აზრი, რომ იგი შეიქმნება საფუძველი მუდმივი და მტკიცე ზავისა.

**არეულობა საბერძნეთში.**

ბათომი. ღვინობისთვის 13. ტრაპეზუნდის გაზეთი „იღბალი“ იუწყება, რომ სმირნის ფრონტზე მდგარი ბერძნების ჯარში აჯანყება მოხდა და ორი დივიზია დაიშალა.

მუშათა დელეგაცია რუსეთში.

მოსკოვი. ღვინობისთვის 15. ჩეხოსლოვაკიისა და რუმინიის პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენლებთან ერთად, პეტროგრადში ჩამოვიდა შეერთებული შტატების პროლეტარიატის წარმომადგენელი.

**ფშემახო კოცევის დაპატიმრება.**

საგანგებო რაზმის უფროსმა კედიამ დაპატიმრა მთიელთა მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ფშემახო კოცევი. გაჩხრეკის დროს მას აღმოაჩნდა სამი მილიონი მანეთი დონის ფული და მრავალი მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

**სერგო ქავთარაძე.**

საქართველოში მყოფ რ. ს. ფ. ს. რ. სრულ უფლებიანი წარმომადგენლობის მრჩეველი სერგო ქავთარაძე, რომელიც ბ-ნ კიროვთან ერთად მოსკოვში იყო წასული, თბილისში დაბრუნდა და თავის თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

სილიბისტრო კვაჭანტირაძის თავგადასავალი.



მას ჟამსა შინა, სილიბისტრო კვაჭანტირაძე სოციალურ რევოლუციისაკენ იხმობდა საქართველოს პროლეტარიატს. | დღეს, ამხანაგი სილიბისტრო ამავე მიზნით „რაზრეშენიებს“ აძლევს იმავე პროლეტარიატს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ამბები.

## მთავრობაში

— **მთავრობის ზომები.** ტარიფი მარგანეცზე. მთავრობამ ოქტომბრის 12 სხდომაზე გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის დირექტორის მოხსენების მოსმენის შემდეგ დაადგინა გაადიდოს ჭიათურის მარგანეცის გადასატანი ტარიფი ოთხჯერ, ესე იგი არსებულ 10 მ. და 70 კოპ. მაგივრად დაწესდეს 43 მ. ფოთამდე და ბათომამდე წინააღმდეგ 11 მან. 35 მ. დაწესდეს 45 მან. ახალი ტარიფი ძალაში ოქტ. 16-დან შედის.

## ერობებში

— **ლანჩხუთი.** ოქტ. 12. (დ. ს. საკ. კორ.) დაასრულდა და მოქმედება დაიწყო ქალაქის ელექტრიულმა სადგურმა და ქალაქის ელექტრიულმა წისქვილმა. თავდება აგრეთვე მუშაობა ქალაქის სახერხი ქარხნის მოწყობისა. ქალაქი თავის ხარჯზე მცხოვრებთათვის კინემატოგრაფს აწყობს.

— **სიღნაღი.** ოქტ. 13. (ს. კორ.) სიღნაღის სამაზრო ერობის თვითმართველობა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა თხოვნით რათა მან მთავრობის წინაშე აღძრას შუამდგომლობა იმ მიზნით, რომ სიღნაღის ერობას სესხის სახით მისცენ 15 მილიონი. ამ ფულით ერობა დაეხმარება სიღნაღის მაზრის მცხოვრებთ, რომელნიც სტიქიურ მოვლენათაგან დაზარალდენ.

— **ახალციხე.** ოქტ. 12. (ს. კორ.) ამ დღეებში მოქმედებას დაიწყებს სახერხი ქარხანა, რომელიც ახალციხის ერობამ 1 800.000 მან. შეიძინა.

— სამაზრო ერობა საკუთარ შენობაში გადადის. ამ შენობაში, რომელიც სამი სართულისაგან შესდგება, იქნება აგრეთვე ერობის ცენტრალური საწყობები და საზეინკლო სახელოსნო. ერობას სურს საბოლოოდ მოაწყოს ნორმალური მიმოსვლა ბორჯომ-ახალციხე-აბასთუმნის შარა გზით.

— **დამფუძნებელ კრებაში.** ოქტომბრის 15, ს. მდივნის თავმჯდომარეობით გაიხსნა დამფუძნებელი კრების შემოდგომის სესია. სხდომის გახსნისას შეტანილ იქნა წინადადება დამფუძნებელ კრების მუშაობის გადადების შესახებ, ვინაიდან სასახლის შეკეთება კიდევ არ დასრულებულა. დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ეს წინადადება და ამასთანავე პრეზიდიუმს დაავალა მოიწვიოს დამფუძნებელი კრების სხდომა შენობის შეკეთების დასრულების შემდეგ. დამფუძნებელმა კრებამ მიიღო აგრეთვე დეკრეტი დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებისათვის 3. მილ. მან. გადარეცხის შესახებ.

— **სომხეთში.** სომხეთის ეროვნულმა საბჭომ სომხეთის დიპლომატიურ საბჭოს წარუდგინა თავის და საქართველოში მყოფ სომეხთა სხვა და სხვა ორგანიზაციების პროტესტი თათართა შემოსევის გამო სომხეთის სახელმწიფოზე. ეროვნული საბჭო მზათ არის ყველა თავისი მატერიალური, ფიზიკური და სულიერი ძალით დაეხმაროს სომხეთის მთავრობას. ამის საპასუხოდ ეროვნულ საბჭოს გულდრმა მადლობა გამოეცხადა.

## სამინისტროებში.

— **შრომის სამინისტროში.** კინემატოგრაფი „მინიონი“. შრომის სამინისტრომ წინადადება მისცა ვე-2 უბნის კომისარს გამოუცხადოს მან ხელწერილ ქვეშ კინემატოგრაფ „მინიონის“ პატრონს მოქ. არამიანცს რომ ვინაიდან მთავრობამ უარყო მისი შუამდგომლობა, წინადადება ეძლევა მას ერთი კვირის განმავლობაში გაანთავისუფლოს კინემოტოგრაფის შენობა, რომელიც მუშათა სასახლის საჭიროებისათვის არის დანიშნული.

— **შრომის პ რობები.** შრომის სამინისტრომ წინადადება მისცა თბილისის შრომის კომისარს სასწრაფოდ გამოიკვლიოს პოლონეთ საქართველოს სავაჭრო სამრეწველო კავშირის აბრეშუმის საქსოვ სახელოსნოებს არსებული შრომისა და წარმოების პირობები და გამოკვლევის შედეგები სატარიფო პალატას წარუდგინოს.

— **კანონი თამბაქოს შესახებ.** ფინანსთა სამინისტროს სააქციზო სამმართველო იმუშავებს პროექტს თამბაქოს ნაწარმოებზე სააქციზო გადასახადის დაწესების შესახებ არის პროექტის ორი ვარიანტი: 1) თამბაქოს ნაწარმოებზე აქციზის ფაბრიკაში შემოხულ ფურცლოვან თამბაქოს წონის მიხედვით დაწესება და 2) დაწესება ბანდეროლის სისტემისა. ეს კანონ-პროექტი განსახილველად უახლოეს დღეებში ფინანსთა მინისტრის საბჭოს გადაეცემა.

— **ერ. დ. მ. სტუდ. და მოსწავლეთა მთავარ კომიტეტის სხდომა.** კომიტეტის სხდომა. დღეს კვირას დილის 10 საათზე პარტიის მთავარ ბიუროში დანიშნულია სტუდენტთა და მოსწავლეთა მთავარ კომიტეტის სხდომა, რომელსაც უნდა დეესწრონ საფაკულტეტო გამგეობების წევრნიც.

# თეატრი და მუსიკა

**სეზონის გახსნა.**

ქართული დრამის სეზონის გახსნას დიდის ინტერესით მოელოდენ თეატრის მოყვარულნი. ყველას ეგონა: იქნებოდა ზეიმური სანახაობა და ხელოვნების გამარჯვება. მაგრამ ქართულ თეატრს მაინცა და მაინც ბედი არ სწყალობს, და საკვირველი არ არის, თუ ახლაც ულალატებდა იგი მას.

ჯერ ერთი მხარე. თეატრი ნახევარადაც არ იყო სავსე. ეს საშინელი ამბავია სეზონის გახსნისათვის. ამბობდენ კულუარებში: მორდკინის საღამომ შეუშალა ხელიო. ეს თუ ასეა, მით უარესი ქართული თეატრისათვის. ნუ თუ საქართველოს დედა ქალაქში ვინმე უცხოელმა არტისტმა უნდა შესძლოს ასეთი კონკურენცია,—და მერე როდის: როცა სეზონი იხსნება?! მაგრამ მე საეჭვოთ მეჩვენება ეს ახსნა. თბილისი გაივსო ჩამოსული ქართველებით. მარტო იმერეთიდან ჩამოსულები ეყოფიან ორს თეატრს. არა: მიზეზი ალბად სხვაგან უნდა ვეძიოთ.

სეზონი გაიხსნა შალვა დადიანის „გუშინდელნით“ უკანასკნელი არ არის პიესა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. იგი უფრო დრამატიული სცენებია: სცენები იმერული. შალვა დადიანს აქვს დაკვირვების ნიჭი და ლიტერატურული ტრადიცია. ეს ნიჭი და ეს ტრადიცია ამ ნაწარმოებშიაც მოსჩანან. დავით კლდიაშვილის ლიტერატურული ხაზი მარჯვედ არის გაყვანილი ამ სცენებში. და მაინც: სცენებს ბევრი ნაკლი აქვს. ამსახის სცენებში ძალიან ძნელია ზომის დაჭერა და შალვა დადიანსაც ხანდახან შარჟი სძლევს. იმერეთში მაგალითად ძნელია მონახვა ასეთი თავადისა და ასეთი თავადისცოლის: სამაზრო უფროსს ფეხქვეშ მხოლოდ უბრალო აზნაური თუ ეგება. ეს ფაქტია და ამას ვერავინ უარყოფს.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. არის კიდევ ერთი რამ, რომლის განსცენიურება საშინელი ხდება. ეს არის „ნედლი მასალის“ სცენაზე გამოტანა. იმერული სცენების წერა ბოლოს და ბოლოს ძალიან ადვილია. ერთმა მწერალმა სთქვა, რომ იმერი თავის თავად უკვე ხელოვნური ნაწარმოებიაო. ამ თქმაში არის სიმართლე და უბრალო ხაზმოსმა იმერის ცხოვრებაში ესთეტიურს სიტყვას ჰქმნის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მწერალი მაინც უნდა ერიდოს „ნედლს მასალას“,—განსაკუთრებით დრამატურგი. მაგალითად: შეუწყნარებელია მესამე მოქმედებაში სცენაზე იმერული სიმღერა. ვერავითარი თეატრი ვერ აგაშორებს აქ გრძნობას, რომ უბრალო სამიკიტნოში არა ხარ,—განსცენიურებულში კი არა, ნამდვილს სამიკიტნოში (ეს არის „სინედლე“). კიდევ უფრო საშინელია იმავე მოქმედებაში ფრანგული ქუდაობა. აქ „სინედლეს“ პირდაპირ საეჭვოცირკში გადაჰყავს მომენელი. ჩემის აზრით, ეს ადგილები უნდა შეასწოროს რეჟისორმა ავტორის თანხმობით და დახმარებით. რეალიზმი არ არის ნატურალიზმი. ამბობდენ: შალვა დადიანმა სამ დღეში დასწერა ეს პიესაო. მით უმეტეს მოეთხოვება მას ზოგიერთი ადგილის შესწორება.

სეზონის გახსნისათვის სხვა პიესა უნდა აერჩიათ. იმერული სცენები იდგმებოდენ ხოლმე ყვირილაში, სამტრედიაში ხონში რომელიმე სტუდენტის სასარგებლოთ. თამაშობდენ სცენის მოყვარულნი (—არა არტისტნი) და თამაშობდენ კარგათ. მათ შორის შემიძლია დავასახელო: ალექსანდრე არაბიძე, დავით ჩხეიძე, ბეკო მდივანი, საყვარელიძე, ელენტი და მრავალი სხვა. ეს ყველას ახსოვს და ამას ვერავინ უარყოფს. არტისტობის კულტურის ჩვენება იმერული სცენებით შეუძლებელია. სეზონის გახსნისას სხვა (უფრო საძნელო) პიესაში უნდა გვენახა ჩვენი არტისტები, რომლებზედაც ამდენი მატერიალური და ინტელექტუარი ძალა იხარჯება. რასაკვირველია: აქაც ბევრი იცინა საზოგადოებამ,—მაგრამ „ეტნოგრაფიის“ პროფილები სიცილს ადვილად იწვევენ.

ასეთი პიესა სეზონის შუაში უნდა იყოს გაშვებული.

თამაშის მხრით არას ვილაპარაკებ,—რადგან, როგორცა ვსთქვი, იმერულ სცენებს ყველა კარგათ თამაშობს. მაგრამ გელოვანი მაინც განირჩეოდა.

დეკორაცია არ შეეფერება იმერეთის კორდებს. მხატვარმა დეკორატორმა უნდა მონახოს დავით კაკაბაძის სურათები და იქ ნახავს იმერეთს.

იუზა ზარდალიშვილმა უნდა იცოდეს, რომ ინგლისურ პაიჯზე ყელიანი ფეხსაცმელის ჩაცმა შეუძლებელია (და მერე ისეთის, რომელსაც ყელი თეთრი აქვს).

**გ. ვ. გოლდენდ.**

**საღამო ნ. ე ჩხიკვაძის ხსოვნის აღსანიშნავად.**

დღეს ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში იმართება ფრიად საინტერესო საღამო განსვენებულ პოეტის ნოე ჩხიკვაძის ხსოვნის აღსანიშნავად.

სიტყვებს წარმოსთქვამენ გრ. რობაქიძე და ივ. გომართელი. საღამოში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე პოეტები: გ. ქუჩიშვილი, ვარლამ რუხაძე და ობოლი მუშა.

**სახელმწიფო ოპერა.**

დღეს: „ფაუსტია“ ხვალ: ბალეტის მეორე საღამო მ. მორდკინისა.

**სახელმწიფო დრამა.**

დღეს: „ოიდიპოს მეფეა“.

სახელმწიფო დრამაში შეუდგენ სამზადის ალ. შანშიაშვილის პიესის „ბერდო ზმანიას“. პიესის დადგმა განძრახულია ნოემბრის დასასრულს. ხსენებულ პიესისათვის მუსიკას სწერს კომპოზიტორი დიმ. არაყიშვილი.

## ბათომის ოლქში.

მეჯლისის სხდომა.

ოქტომბრის 12-ს საღამოთი მოხდა არა ჩვეულებრივი სხდომა სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისისა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენელთა თანდასწრებით. მეჯლისის სხდომა გახსნა თავმჯდომარემ ბ-ნმა მემედ-ბეგ აბაშიძემ. მან აუწყა მეჯლისის წევრებს და პარტიების წარმომადგენლებს, რომ ოლქში მდგომარეობა კრიტიკული ხანებში გავიდნენ და მუშაობა გააჩაღეს როგორც ქემალისტებმა ისე ბოლშევიკებმა, ხალხი ტყუვდება და ისეთი პირობები იქმნება, რომ ალაგ ალაგ მოსალოდნელია ხალხის გადაბირება, მიმხრობაც. თავჯდომარემ მოუწოდა სხდომას ეფიქრათ იმის შესახებ, თუ როგორი ზომები უნდა ყოფილიყო მიღებული ზემო ხსენებული სახის მუშაობის სალიკვიდაციოდ. მდგომარეობას არსებითად შეეხენ ს. დ. პარტიის წარმომადგენლები ბ. ბ. ა. წულაძე და კ. გოგოლაძე, სოც. ფ-ბიდან გ, ჩიქოვანი, ეროვნულ დემოკრატებიდან ბ-ნი იაკობ სულაბერიძე. პრესის სახელით ირ. დიდიძემ. საერთო მდგომარეობის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა დეპ. აკაკი ჩხენკელმა, რომელსაც უსაზღვრო აღფრთოვანებით და ტაშით შეხვდა სხდომა. მისმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სხდომაზე და თითქმის ყველა საკითხები ამოწურა. დაწვრილებით ხვალ.

## მენშევიკები და ეროვნული დემოკრატები სოფლად

მენშევიკები დაილალნენ. სახელმწიფოსა და პარტიულ საქმეს ერთად ვერ უძლვებიან. ესეც არ იყოს, ხალხი უკვე გაეცნო და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მენშევიკების იდეიური სეზონი სოფლად უკვე მთავრდება. აი როგორ ცნობას აწვდის გაზეთ „ერთობა“-ს თავისი კორესპონდენტი:

„საყულია. (ქუთ. მაზრა). აქაური ს. ს. დ. მუშ. პარტიის კოლექტივი მხოლოდ ქაღალდზე არსებობს, მუშაობას არ აწარმოებს. ხუთი-ექვსი თვეა პარტიის წევრთა საერთო კრება ვერ მოუწყვია, სადაც გამოირკვეოდა მისი უმოქმედობის მიზეზები. სოფელში აუარებელი საქმეებია გასაკეთებელი და მისი ხელმძღვანელი ორგანოს წევრები გულზე ხელ დაკრეფილი სხედან, ამავე დროს მოწინააღმდეგე პარტია ეროვ.-დემოკრატები დიდს უნარს იჩენენ. უკანასკნელ თემის საერობო ხმოსანთა არჩევნებზე 20 ხმოსანში 9 ხმოსანი გაუყვანიათ და გამგეობაში გარდა თავმჯდომარისა იმათი წევრებია; თუ ასეთი უმოქმედობა პარტიის წევრების კიდევ გაგრძელდა, მომავალ არჩევნებზე შეიძლება ერთი ხმოსანიც ვერ გავიყვანოთ. საჭიროა ამას თავიდანვე მიაქციოს სათანადო ყურადღება ქუთ. სამაზ. ს.-დ. კომიტეტმა: გაგზავნოს თემში ისეთი ამხანაგი. რომელიც დაშლილ ორგანიზაციებს აღადგენს და გაარკვევს პარტიის წევრთ მათ მოვალეობა ვალდებულებას.

ს. სხივიშვილი.

# ჩვენი კორესპონდენტები

### ს. ველისციხე.

#### მევენახეთა ყრილობა

ს. ველისციხეში შესდგა პირველად ყრილობა კახელ მევენახეთა; ყრილობას დაესწრენ წარმომადგენელნი მონათესავე ამხანაგობათა ტფილისიდან და თელავიდან. ყრილობა გახსნა „კავშირთ კავშირის“ გამგეობის თავმჯდომარემ გიორგი წინამძღვრიშვილმა, რომელმაც გაუთვალისწინა ყრილობას დღევანდელ მდგომარეობით შექმნილი კრიზისი მევინეობის და მევენახეობის საქმეში, აუხსნა ყრილობას მიზანი „კავშირთ კავშირის“ ა. შემდეგ აირჩიეს ყრილობის თავმჯდომარე და მდივანი.

თავმჯდომარედ აირჩიეს, გრ. დუმბაძე, რომელმაც დაახლოვებით შემდეგი სიტყვით მიმართა ყრილობას: „ორი წელიწადია, რაც ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობა. ეკონომიურ დამოუკიდებლობაში განსაკუთრებულ როლს იჭერს სოფლის მეურნეობა და ამ მეურნეობაში უპირველესი, ხოლო უკანასკნელში მევენახეობა მეღვინეობა. დღემდე ამ უდიდეს დარგს მეურნეობისას ისე უცქეროდით, როგორც გამრთობ დარგს, დღეიდან კი სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით უნდა შევხედოთ, და ყოველგვარი ღონე ვიღონოთ, რასაც კი გვავალებს დღევანდელი მომენტი. საჭიროა მევენახეობასა და მეღვინეობას მივსცეთ ისეთი ხასიათი, რომ საზღვარ გარედაც ჰქონდეს ჩვენს ღვინოს ბაზარი.

**დიმ. გედევანიშვილი** ესალმება ყრილობას საქართველოს მრეწველ გამსაღებელ მწარმოებელ კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირის სახელით და ულოცავს დღევანდელ დღეს. როდესაც, აღმშენებლობითი საქმე იწყებოდა ჩვენ ქვეყანაში, სახელმწიფოს არ შეეძლო ყურადღება არ მიეპყრა და დაევიწყა ეს დარგი ეკონომიკისა, რომელიც უაღრეს საგანს შეადგენს ჩვენ არსებობისას. ჩვენი მეურნეობა წინად მოუწყობელი იყო, ჩვენი მეურნენი დაქსაქსულნი იყვნენ და ჩარჩების ხელში იყულიფებოდნენ. ჩვენი ცხოვრების პირობები გვიკარნახებს, ყველა ჩვენი სოფლის მწარმოებელი შეერთდეს. შეიძლება ბევრმა არც კი იცოდეს ის ჩუმი მუშაობა, რომელსაც ცალკ-ცალკე აწარმოებენ კოოპერატიული საზოგადოებანი „კავშირი კავშირისა“, „კახეთისა“ მეხილეთა ამხ. „ქართლი“, მესაქონლეთა ამხ. „მწყემსი“, მეერბოეთა ამხ. „ხევსურთა კავშირი“ და სხვ. უდიდესი მიზანი ყველა ამ ამხანაგობებისა ისაა რომ ამხანაგურად შეძენილი ფული ისევ მეურნეობას მოხმარდეს და ყველანი შეერთდენ ერთს „დიდ ოჯახში“.

**ქ. ბერეკაშვილი**, მიწად მოქმედების სამინისტროს სახელით ულოცავს ყრილობას დღეინდელ დღესასწაულს და დასძენს, რომ სამინისტრო მზადაა დახმარება გაუწიოს ყრილობის მომწყობ „კავშირთა კავშირს“.

**კ რიჟაშვილი** სამაზრო ერობის სახელით ულოცავს „კავშირთა კავშირს“, იმედს გამოსთქვამს, რომ ეს ამხანაგობა სულ მუდამ იქნება ისეთი სასურველი დაწესებულება, რომელსაც სამაზრო ერობა ენერგიულად შეუწყობს ხელს.

**ნ. თავდგირიძე.** „მეც როგორც ერთნაირ მონათესავე დაწესებულების საქართველოს „ცენტრო ბანკის“ გამგეობის წარმომადგენელი, რომელთანაც დიდ კავშირშია შესული ეს ამხანაგობა სულით და გულით ვულოცავ, როგორც ადგილობრივ საზოგადოებას, ისე ამ ამხანაგობა „კავშირთ კავშირს“, რომლის ინიციატივითაც მოეწყო დღევანდელი ყრილობა. თუ დღეს ევროპის ბაზარზე ვერ გამოვიდა ეს დიდი დარგი ჩვენი მეურნეობისა ამის მიზეზები ბევრია. სულ 2 წლის შექმნილი ჩვენი რესპუბლიკა, კულტურით ძლიერია და თუ ევროპის ბაზარზე დღემდე ვერ გამოვდიოდით, დღეიდან გამოვალთ, ღვინის დაყენებით ევროპის წესზე და კონკურენციასაც გაუძლებთ. ცენტრობანკი ახლო მომავალში ხსნის სტამბოლში განყოფილებას, სადაც ვაწარმოებთ სხვადასხვა საქონლის გაცვლა გამოცვლას უცხოეთის ვალიუტის ძალით.

ერთსულოვანობა თუ არ არის და საზოგადოებანი თუ კავშირნი არ შევჯგუფდით ისე ჩვენ მიზანს ვერ მივაღწევთ. ჩვენ ვეხმარებით. შეჯგუფულ ორგანიზაციებს და შემდეგშიაც დავეხმარებით. გაუმარჯოს იმ საზოგადოებას და ორგანიზაციებს რომელიც უცხოეთში სახელს შეგვიქმნის!“.

**გ. ზალამბერიძე** ულოცავს ყრილობას საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობის საბჭოს სახელით.

**თავმჯდომარე.** კითხულობს ყრილობის სახელზე მოსულ დეპეშებს საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან.

დასასრული გ. წინამძღვარიშვილი აცნობს ყრილობას მოკლე ისტორიას „კავშირთა კავშირის“, და განზრახულ მოქმედების გეგმას მომავალში. მიუხედავად მძიმე პირობებისა „კავშირთ-კავშირმა“ 2 წლის განმავლობაში შეაკავშირა 4400 წევრი 4200 დესეტინა ვენახით, მიაწოდა მევენახეთ ვენახისთვის საჭირო მასალა, მავთული და სხვა მეურნეობისთვის აუცილებელი იარაღები. „კავშირთ კავშირს“ დაუწყია ფაქტიურად მოქმედება 1918 წელს, წესდება დაუმტკიცებიათ 1919 წ. და ამ მოკლე ხანში „კავშირთ კავშირს“ მოუწყვია თბილისში ღვინით სავაჭრო სარდაფი, გაუხსნია განყოფილება ქ. ბათომში, გადაუბრუნებია 61 ათასი ვედრო ღვინო, შეუძენია საკუთარი სარდაფისთვის მამული კახეთში სად. მუკუზანთან და აუშენებია საწყობები და შენობები მუშა მოსამსახურეთათვის. მომავლისთვის უფრო ფართე მასშტაბით ფიქრობს კავშირთ კავშირი თავის საქმიანობის განაგრძობას. მასვე დაუსახავს მიზნად ფილოქსერასთან ბრძოლა. ამისთვის საჭიროა ამერიკულ ვაზზე დამყნულ სანერგეთა გამრავლება. ამ მიზნისთვის გამოუთხოვია მიწ. მოქ. სამინისტროსაგან 11 დეს. მიწა.

ვ.

## წერილი ქუთაისიდან.

გვახსოვს ჩვენ ქუთაისი ხალისიანი, ქუთაისი მზიური ხედვით აჩირაღდნებული; როცა გაზაფხულის სიცოცხლით აფერილი მისი სახე დაუღალავ საქმიანობაში იყო ჩაფლული. გვახსოვს ჩვენ ქუთაისი აგრეთვე მწარე სინამდვილით დათალხული, შავი ფიქრებით გარემოცული. მაგრამ ორივე შემთხვევაში ჩვენ გვახსოვს იგი მედგარი დამცველი საქართველოს დამოუკიდებლობის, საუკეთესო დარაჯი მისი თავისუფლებისა.

ასეთი იყო ქუთაისი მისი საყვარელი წარსულით. უყურებდით მას და გჯეროდათ საქართველოს მომავალი. უმზერდით მის აფორიაქებულ სულის ღელვას და დარწმუნებული იყავით მისი მამულიშვილური აღტყინებით. და მის რაინდულ ნაკვთებში თქვენ ამჩნევდით მხოლოდ ძველ სიამაყის აზვიადებულ პათოსს.

მაგრამ ასეთი აღარ არის იგი დღეს. საქართველოს დამოუკიდებლობამ თითქო ჩააქრო მასში ბრძოლის ხალისი; მრავალი წლობით ნაყოფიერ მუშაობამ თითქო ჩაკლა ის ენერგია და ენტუზიაზმი ამ ორი წლის წინათ ასე მედგრად რომ სჩქეფდა მის სხეულში. მაგრამ ყოველივე ეს მაინც მის სულის კვეთების წინააღმდეგ ხდება; დღეს ქუთაისი არავის არ ახსოვს: ყველას, როგორც უბრალო სოფელი—დავიწყებული ყავს. მართალია იგი არ არის ეკონომიური ან ადმინისტრატიული ცენტრი, რომელსაც უმაღლესი მართველობა ძალაუნებურად მიაქცევს ყურადღებას, მაგრამ არც ისე დასავიწყი, რომ სრული პასივობა გამოიჩინონ მის მიმართ და ყოველი ზრუნვა მის დაწინაურებისათვის შეწყვიტონ. თუმცა რა გასაკვირია ჩვენ რომ მუნიციპალურ მოღვაწეების ხელში ესა თუ ის ქალაქი სულს ძლივს ღაფავდეს! ორ წელიწადზე მეტია, რაც საქართველო დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწევა და მთელი ამ ხნის განმავლობაში ქუთაისის ქალაქის გამგეობას ერთი საქმიანი ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს, რომელსაც ოდნავი კავშირი მაინც ქონოდა ამშენებლობასთან, თუ რასაკვირელია მხედველობაში არ მივიღებთ კერძო პირების სახლების ჩამორთმევას. ქალაქს დღეს-დღეობით ყველაზე მეტი დახმარება ეკონომიური მხრივ სჭირდება. თუ იგი ამ მხრივ ოდნავ მაინც არის დაკმაყოფილებული სხვა ყოველივე გასაჭირს უფრო ადვილად აიტანს. ქალაქის გამგეობამ ამ დარგშიც ვერ გამოიჩინა აქტივობა, ამ მხრივაც ვერ მოაწყო საქმე ისე, რომ მცხოვრებლების მესამედი ნაწილი მაინც დაეკმაყოფილებია სურსათით.

თუ იშოვნიდენ მოიტანდენ ან ისე ცოტას, რომ მოთხოვნილების მცირე ნაწილსაც არ აკმაყოფილებდა ან და ისეთ უვარგისს, რომ მხოლოდ პირუტყვისათვის თუ გამოიყენებდით. სხვა საქმიანობის შესახებ ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. ისიც კი არ ხერხდება მათი უვიცი პოლიტიკის წყალობით, რომ ქალაქმა თავისი პირვანდელი სახე, შეინარჩუნოს, დანგრევისა და დაშლის პროცესში არ ჩაეფლოს. ყოველ შემთხვევაში ასე იყო აქამდის და მომავალში კი რა იქნება ამასაც მალე დავინახავთ. ახალი ქალაქის თავის ჩამოსვლით ქალაქი თითქო განახლების პროცესს მოუახლოვდა და ესეც არის ყველასაგან მივიწყებული და მოძულებული მაგალითით საჩვენებული გახდეს.

ყოველ შემთხვევაში ბევრია ამაში დარწმუნებული და ბევრსაც ჯერა, რომ ქალაქის თავის ინიციატივით ამოძრავებული სააქციონერო საზოგადოება, ქალაქის ელექტრონის სინათლით განათებისათვის ზრუნვა და წყალსადენისათვის მუშაობა, რომლისათვის თფილისიდან საგანგებოდ არის ჩამოყვანილი ინჟინერები და ტეხნიკები სასურველ ნაყოფით დასრულდება. და დადუმებული ქალაქი ისევ აცხოველდება. მაგრამ ჯერჯერობით ეს ყოველივე მხოლოდ პირველ სტუდიაშია, ჩვენ მაზე ფართოთ ლაპარაკი უხერხულად მიგვაჩნია. თუ რაიმე განახლდა და ფერი იცვალა ქუთაისში ამ მოკლე ხანში ეს თვით ქალაქის გამგეობაა. ახალი ქალაქის თავის ჩამოსვლის შემდეგ აქ ყოველივე ელვის სისწრაფით გადატრიალ და და შეიცვალა.

მთელი ძალა უფლება გადავიდა ქალ. თავის ხელში. ის გახდა სრული უფლებიანი თ-ვისი სამმართველოსი და სხვა გამგეობის წევრები ასე ვსთქვათ მისი ნების აღმასრულებელნი. ჩვენ გვე მის როცა ამორჩეული გამგეობის წევრები არიან ამა თუ იმ უფლებით აღჭურვილნი ქალაქის ფარგლებში. მაგრამ ჩვენ არ გვესმის, როცა დაქირავებული ინჟინერებიც ასეთ უფლებით გვევლინებიან.

თქვენ უნდა ნახოთ თუ როგორ მდგომარეობაში ვარდება მოქალაქე, როცა მას ამა თუ იმ საჭიროებისათვის ქალაქის გამგეობასთან უხდება საქმის დაკავება. შემოიტანს იგი თხოვნას, ჯერ გადაცემს ერთ რეგისტრატორს, ანუ მორიგ მოხელეს; შემდეგ გადაეცემა მეორე რეგისტრატორს, შემდეგ მიუა საქმის მწარმოებელს. საქმის მწარმოებელი განიხილავს მას და შემდეგ წარუდგენს ინჟინერს, ინჟინერიც განხილვის შემდეგ გადასცემს უფროს ინჟინერს, იგიც განიხილავს და დაუბრუნებს ისევ საქმის მწარმოებელს, რომელიც ბოლოს დაამზადებს ქალაქის თავთან მოსახსენებლად ლოდინის შემდეგ როგორც იქნება ელირსება მთხოვნელი პასუხს. გარდა ამისა თუ მთხოვნელმა თვითონ არ სდია თავის შემოტანილ ქაღალდს შესაძლებელია იგი ერთი თვე დარჩეს განუხილველი. თუ თქვენ ქალაქის ნახვა დაგჭირდათ, ამისათვის უნდა მოხვიდეთ ალრე: უნდა აიღოთ ნახვის ნებართვა და შესავალი ნომერი და შემდეგ უნდა უცადოთ ჯერ მიღებისათვის დანიშნულ დროს და შემდეგ რიგს. და შემდეგ შეიძლება გახდეთ ღირსი ქალ. თავის ნახვის. ამას კიდევ თუ დაუმატებთ სხვა რაიმე საჩქარო საქმეს, ან „მართველების შორის მომხდარ ინციდენტს, რომელიც ამ ბოლო ხანებში ძლიერ გახშირდა, ჩვენთვის გასაგები იქნება მთხოვნელების აუტანელი მდგომარეობა და მათი საფუძვლიანი გულის წყრომაც.

ჩვენ ვგონია ამას თავის დროზე უნდა შველა. ქალაქის გამგეობა მთელი შემადგენლობით ძლივს უძლვებოდი ქალაქს თორემ ორი ადამიანი აბა რას გახდება. ისეც აწეწილი საქმეები სრულიად აირევა და ქალაქიც უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდება. ამ შემთხვევაში ნურავის იმედი ნუ აქვს ქალაქის საბჭოსი. იგი თვითონ გამოურკვეველ მდგომარეობაშია; თვითონ არ იცის შექმნილ მდგომარეობის მიზეზი სად ეძიოს. ეს უფრო სოც. დემ. ფრაქციის საქმეა, რომელიც ასე ვსთქვათ უკვე გარკვეულია საქმის ვითარებაში და უკვე ენერგიული ზომებიც მიუღია მის წინააღმდეგ. ეს ენერგიული ზომები ჯერჯერობით მხოლოდ „ბოიკოტში“ გამოიხატება.

ქალაქის თავის წინააღმდეგ გამგეობის წევრთან ერთად მთელი საბჭოს სოც.-დემ. ფრაქცია დარაზმულია და ბრძოლის დაწყების მოლოდინშია ვნახოთ ამ თავის ამხანაგების იერიშს ქალაქის თავი თავისი ინჟინრებით, როგორ გაუმაგრდება.

გარრი.

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: სპ. კედია.

## მატარებელთა მიმოსვლა.

ღვინობისთვის 10-დან 1920 წ.

### თბილისიდან გადის.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისაკენ | 10 ს. | 58 წ. | დილ. |
| | ბათომში ჩადის | 7 ს. | 27 წ. | დილ. |
| № 9 | ფოთისაკენ | 5 ს. | 34 წ. | დღით |
| | ფოთში ჩადის | 10 ს. | 45 წ. | დილ. |
| № 7 | ბათომისკენ | 10 ს. | 28 წ. | საღ. |
| | ბათომში ჩადის | 5 ს. | 52 წ. | საღ. |
| № 19 | ბორჯომისკენ | 3 ს. | 19 წ. | დღ. |
| | ბორჯომში ჩადის | 11 ს. | 25 წ. | დღ. |
| | სალოდლისკენ | 7 ს. | 20 წ. | დილ. |
| № 4 | სანაინისკენ | 8 ს. | | დილ. |
| | სანაინში ჩადის | 5. ს. | | საღ. |
| | კახეთისკენ | 8 ს. | 30 წ. | დილ. |

### თბილისისკენ მოდიან.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 10 | ფოთიდან | 3 ს. | 51 წ. | |
| | თბილისში მოდის | 9 ს. | 16 წ. | დილ. |
| № 4 | ბათომიდან | 4 ს. | 9 წ. | დღ. |
| | თბილისში მოდის | 1 ს. | 1 წ. | დღ. |
| № 8 | ბათომიდან | 11 ს. | 37 წ. | ღამ. |
| | თბილისში მოდის | 7 ს. | 36 წ. | ღამ. |
| № 20 | ბორჯომიდან | 12 ს. | 22 წ. | ღამ. |
| | თბილისში მოდის | 7 ს. | 47 წ. | დილ. |
| | სალოდლიდან | 12 ს. | 10 წ. | დილ. |
| № 4 | სანაინიდან | 7 ს. | 30 წ. | დილ. |
| | თბილისში მოდ. | 3 ს. | 20 წ. | დღ. |
| | კახეთიდან თბილისში მოდ | 8 ს. | 20 წ. | ს. |

## სამკურნალო

ელექტრონის რენტგენის და სინათლის

### მიხეილ გედევანიშვილისა

დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. ტელ. 9—71. 3102. თვ.

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ბეითალი-ექიმი.

### ი. გ. ქუთათელაძე

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიოცხვრის სასულე—პილის ავადმყოფობას ვქიმობ „ნეიმანის და ვესსელის“ მეთოდებით. ვძლევი დარიგებას „ზოოტეხნიაზე“ (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—4 ს.

ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2. თვ. 42.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის

## ბათომის განყოფილება

იწყებს ოპერაციების წარმოებას ა. წ. ოქტომბრიდან სახელმწ. ბან. მმართველი

1—1 81 ი. ლორთქიფანიძე.

## მამული სახლი, აგარაკი

## ყიდვა-გაყიდვა

აქვს დიდი კლიენტურა,

დავითის ქ. № 3, ბინა 2, რუსთველის პროსპ. ახლო.

თ ბ ი ლ ი ს ი. „ინტელიგენტთა ჯგუფი“

1—4—3193.

## განცხადება

1-ლ ოქტომბრიდან დაიწყო მოქმედება თბილისში [illegible] მატყლის საწყობმა, საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიათ მომხმარებელ კოოპერატივებს და სადაც ამნაირები არ არიან—ის თემებს და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

ზემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენად უნდა მიმართონ

## მომარაგების სამინისტროს

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებად.

**შენიშვნა:** რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან“, რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

### მატყლის ყიდვა-გაყიდვა
### კერძო პირთაგან აკრძალულია

სახელმწიფო საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

ა) საშუალო ღირსების, გაურეცხავი მატყლი 4,000 მ.

ბ) სუფთა—ახალგორის და სხვა რაიონების 4,500 მ.

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ადგილობრივ გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზვიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონ

**შენიშვნა:** სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტრო საწყობიდან.

10—63—6 მომარაგების სამინისტრო.

## მეცხვარეთა საყურადღებოდ

მატყლის შეგროვება, შენახვა მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობას „მწყემსს“, რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით, იმ ორი ათასი (2.000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობიდან მატყლის ადგილობრივად საფასურად, მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე, ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდი ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით;

1, მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა ე. ი. 10 პროც.

2. მეცხვარეს ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. 45 პროც.

3. სახელმწიფო—მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებული იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებული იქნება საზღვარ—გარეთის ბაზარზე.—

მომარაგების სამინისტრო.

## ამხ. „პროვოდნიკი“

სოლოლაკის ქ. 4

## იყიდება ბითუმის ფასებში

არა ნაკლები თოფისა და დიუჟინისა მანუფაქტურა

### ქალის პერანგები და პირსახოცები

აგრეთვე მიღებულია უცხოეთიდან

ჰარტია შემდეგი საქონელისა

იდეალური ხარისხით, სიაფით და სახმარად სამზარეულო ფეჩი „ტიპტი“

ვაჟების, ქალების და ბავშვების კალოშები, ვაჟების, და ბავშვების კოსტიუმები სხვა და სხვა ხარისხის და ზომის.

ვაჟების ქუდები, პერანგები, ტილოს საყელოები და სახელოები, ზაპონკები, შესაკრავი ყელ სახვევები, ხელთათმანები, ცხვირსახოცები, ქალების წინდები. სხვა და სხვა ხარისხის, შარფები (ვრემ დე შინ), ყოველგვარი საპონი, კბილის ელექსიბი „ბენდიკტინი“ ფხვნილი, პასტი და კბილის სახეხი.

გარდა ამისა იყიდება: სხვა და სხვა კრემი ფეხსაცმელისათვის, ზონარები, რეზინის ქუსლები.

### ამერიკული ფესხაცმლები
### ქალების და ბავშვების

მასტიკა იატაკისათვის „კოსმოსის“ ლაბორატორიის და სხვა და სხვა საქონელი.

78 3—1